ოქმი:**ო08. 3723020001**

თარიღი:**20/01/2023**

ოქმი № 1
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის სხდომის

2023 წელი, 17 იანვარი

ქ.ოზურგეთი

12.00 -13.00 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით ჭაკნელიძე- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ნ. მახარაძე, თ. ტუღუში, ბ. კილაძე, გ. კილაძე, ლ. კილაძე, პ. სალუქვაძე, ნ. ურუშაძე, ვ. ნიჟარაძე, ალ. ბურჭულაძე, ალ. ღლონტი.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ.

მომხსენებელი: დ. ჭაკნელიძე

2. კომისიის 2023 წლის სამუშაო გეგმის შესახებ.

მომხსენებელი: დ. ჭაკნელიძე

სხდომის თავმჯდომარემ, დ. ჭაკნელიძემ მოკლედ ისაუბრა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი დადგენილების პროექტის შესახებ, აღნიშნა, რომ იგი შემოსულია გასულ წელს მიღებული დადგენილების შესაბამისად, ცვლილებების გარეშე, ამდენად შესაძლებელია მისი წარდგენა საკრებულოს სხდომაზე. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს მის საკრებულოს სხდომაზე წარდგენას განხილვა-დამტკიცების მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ, დ. ჭაკნელიძემ კომისიის წევრებს გააცნო კომისიის სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული 2023 წლის სამუშაო გეგმის პროექტი, კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს მის საკრებულოს ბიუროს სხდომაზე წარდგენას.

გადაწყვიტეს:

1. დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და კომისიის სხდომის დღის წესრიგში შეტანილი N1 საკითხი წარდგენილი იქნას საკრებულოს სხდომაზე განხილვისა და დამტკიცების მიზნით
2. N2 საკითხი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომას დასამტკიცებლად.

დავით ჭაკნელიძე

აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი
რესურსების საკითხების კომისია-კომისიის
თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი